«Какая безгранична любовь к своей дорогой Украине ярким пламенем горела в сердце Леси Украинки! Сколько благородного мужества и решительности было в этой физически хрупкой женщине! Склоним же низко головы перед бессмертным образом Леси Украинки!»

Нестор Гамбарашивили

Минуют годы, десятилетия, руинами становятся крепости... Плынет беспрерывное время, а в памяти человечества остается самое дорогое, бесценное... и леса все поют и поют свою песню.

“Нет! Я жива! Я буду вечно жить! В моем сердце то, что не умирает”, – промолвила ОНА устами своей героини и искренность этих слов стала истиной не только там на родной земле. “Леся Украинка” - выбито на памятниках, мемориальных досках, написано в названиях улиц... Вот они, оставленные ею следы на грузинской земле в Тбилиси, Кутаиси, Батуми, Сурами, Телави...

Кто сохраняет их, приумножает? Этих имен, так или иначе связанных с дочерью Украины, которая жила и творила на чужой, но теперь уже родной земле, множество. Вспомнить всех невозможно. Но, хотя бы некоторые должны появиться на бумаге.

Первым долгом - имя великого сына Грузии Давида Гурамишвили, судьба которого перекликается с судьбою Леси. Эти два имени произносятся в Грузии рядом, когда речь идет о нашей дружбе. Это незыблемые символы единения, любви, взаимопонимания, взаимоуважения и взаимопомощи. Она была и будет, так как имеет самоотверженных последователей. Поэты поют о Лесе, скульпторы увековечивают ее образ для потомков, работники музеев устраивают экспозиции, учителя несут знания детям... Сколько их заметных и незаметных носителей доброй памяти о большой дочери украинского народа здесь на грузинской земле?

Каждый сделал или делает свое дело. Вот лишь некоторые из них.

Тамара Абакелия – заслуженный деятель культуры Грузии, скульптор, автор замечательного памятника на горе Зиндиси перед домом-музеем Леси Украинки в Сурами, из которого поэтесса смотрит на древние вершины Кавказского хребта, возможно, погрузившись в раздумья над тем „Разве проходит все прошлое”...

Надежда Шалуташвили – доктор искусствоведения, всю свою жизнь исследовала культурные взаимосвязи Украины и Грузии, издала книгу „Дорогами великой дружбы”, на страницах которой есть раздел „Леся Украинка в Грузии”. Именно ей удалось разыскать дом Гамрекели по улице Давидовской на склоне Мтацминды (Святой горы), откуда летели письма поэтессы на родину с осени 1904. В первом из них к сестре О.П.Косач от 6 ноября есть такие строки: „Хата у меня прекрасная, в красивой и здоровой части города, и вообще я чувствую себя как дома”. Отыскать эту „хату” почти через сто лет было нелегко, так как появились новые сооружения, нумерация домов не раз менялась. По документам точно установить дом не удалось. Ситуацию спасли жители района. Расспрашивая их о доме Гамрекели, «госпожа Надежда» шаг за шагом продвигалась к цели, обрастила толпой заинтересованных поиском горожан. Гурьба остановилась под окнами дома, на который почти все единодушно указывали как на искомый. Из одного окна на созданный шум выглянула женщина, поинтересовалась, что происходит. Ей объяснили и вдруг в ответ: „Я живу в квартире, где когда-то жила Леся Украинка”. Память о поэтессе сохранилась среди жителей дома, на стене которого в 2001 году установлена и торжественно открыта мемориальная доска. А госпожа Надежда гордится своим открытием.

В 2009 г. за весомый вклад в развитие и укрепление дружбы наших народов и личное участие в углублении украинско-грузинских связей в области культуры награждена орденом «Княгини Ольги».

Отар Баканидзе – профессор Тбилисского государственного университета, доктор филологических наук, один из основателей клуба „Украина” (1970), Ассоциации „Грузия-Украина”, директор Института украинистики при Тбилисском государственном университете. Благодаря его усилиям увидели мир книги украинских литераторов и первой из них был двуязычный сборник Леси Украинки „Свитла! Свитла!” в 1971 г., позднее монография „Леся Украинка”, двуязычное грузинско-украинское издание писем поэтессы из Грузии. В 2006 г. „за весомый личный вклад в развитие украинско-грузинских культурных взаимосвязей награжден орденом „За заслуги II степени”.

Тариэл Гоголадзе – бывший мэр Сурами. В 1997 году, преодолевая огромные трудности, восстановил празднование традиционного праздника „Лесяоба”, так как в тягчайшие 90-ые годы, которые стали следствием политических и экономических

неурядиц, что выпали на долю Грузии после распада Советского Союза не до праздников было. „Для меня лично Украина - что-то чрезвычайное, любимое, что нельзя предать. Потому, не взирая ни на что, буду находить средства, возможности и устраивать этот праздник. Я горд тем, что имею две украинские награды: орден „Звягеля” от Новоград-Волынского городского совета и орден «за Заслуги III степени» от Президента Украины.













Вірші Лесі Українки

Лесі Українка

Надія

Бефоц, Швєбіц єаєма фаясаамааря,
мажтромонджең вар омегдоис амара;
рном моміненејс ісеј щін дабрежејба,
рном моміненејс ісеј щін дабрежејба,
саф днібрюна ліурю, ронгомрц ზімажејба,-
саф сикуділі олар дамежнаңејба:
саф сітіпі олар дамежнаңејба,
дагібрежејба монгоменејба венејба.....
Бефоц, Швєбіц єаєма фаясаамааря,
мажтромонджең вар омегдоис амара...

таңғымна р. Ніколаєва - Переклад Р. Чілачава

Епілог

Зінц ара үбөврөмбес мәнінжаре ქарші,
іман ар іцис қа арилес даңа,
іман ар іцис, түр қа үзінмопад
ხалыс шеңүпважда шірімба тағисі.
Зінц ара үбөврөмбес мәнінжаре ქарші,
маж, шірімбеті, ғанжуза ар іцис,
іман ар іцис сіміндаре сеүдіс,
рол үләнбөйбес бешіріад ეңжеват.
Ронгомр ғінжомади үркемелтвіс шірініт
бірдомліс ғұртқұлғи қағеішісағмі
мемлекад єа маңдай, санағ дәллініліні
ар шеңаңдомліа ңүтітіт сіміндаре.
Дәлеса да да мәніс монрігеймбен,
да мәнімі сақміс әкелібен даңас.
Мажтала ғынанат түрмі омата, рном
вегін ібіләүдің сашіненде ғанжуза.
О, міңдомлібен тікізебен рном ғүрдінідіт,
ронгомр шірімбөйбен сенеүл ხелібіт

და რა მძიმეა ძილიც,
 ტანჯული ხვედრის მქონე შვილების.
 მძვინვარე ქარბუქს ბრმად მინდობილმა,
 სხვისი თანხის და ნების შემყურებ,
 სად დაიმშვიდოს გულ ტანჯულმა?
 არ ვიცი, მხოლოდ ჩემი ფიქრია....
 თქვენ მებრძოლებო მიიღეთ იგი,
 ეს არის მხოლოდ რაც დამრჩენია.
 თარგმანი ირინე ხატიაშვილმა

საღამო ჰყაბა - Вечір

საყვარელ დედას- Moiïй улюблений мамі

მზე ჩაესვენა, დაბნელდა არე,
 ჩემს ფანჯარაში გამოჩენდა მთვარე.
 შორს კაბადონზე ვარსკვლავიც ბრწყინავს
 სდუმს ყოველივე, სევდასაც სძინავს.
 გაზაფხულია და ბაღში თბილა,
 მსურს მთვარის შუქზე ვიმღერო ტკბილად.
 მსუბუქად ვსუნთქავ, სივრცეა ვრცელი,
 კაცს განუქრება აქ დარდი მწველი.
 ირგვლივ სახლები, თეთრი, ვით ფიფქი,
 ბულბულის სტვენა ხეივნის იქით.
 ნეტავ, ქვეყანა თუ კიდევ არი
 ჩემი სამშობლოს მსგავსი და დარი?
 მარმაშა მკერდი ღამეს ერხევა,
 ვით დედა ბავშვებს, სახლებს ეხვევა.
 ქრის გაზაფხულის სიონ ნარნარად,
 მიდამოს ნანას უმღერის წყნარად.

თარგმანი რ. გვეტაძისა - Переклад Р. Гветадзе

არცა ჩაშეშმგა... I

როცა ჩავცქერი საყვარელ თვალებს,
 სული უცნაურ თვისებას ავლენს.
 სულს ვარსკვლავები ოქროსფრად ქარგავს,

ბაგეს აწყდება სიტყვები, მაგრამ
არა იმგვარი, როგორზეც მაშინ
მე ვოცნებობდი-ლამით, ბურანში.
რა ხმა და ექოც მიწვდება სმენას,
ვერცერთ ენაზე ვერ იტყვის ენა.
თუმც თანაც ვტირი, თანაც ვიცინი,
ვერ წარმომითქვამს მაინც ისინი.

II

ნეტავი მომცა გრძეული სიმი
და აულერება შევძლო იმ სიმის.
მე მძლავრ სიმღერას ვიტყოდი მაშინ,
დე, მას წაელო ჩრდილი კაეშნის,
რომელიც სულიმასკერზე თვლემს ახლაც,
ვერ მიმიცია რომლისთვის ახსნა,
მაგრამ ვგრძნობ – იგი რარიგად მიყვარს,
როგორც ჩურჩულით სათქმელი სიტყვა.

III

ნეტავი, ვფლობდე ყველა სალებავს,
მაშინ შევძლებდი ფერის მიგნებას
და დავხატავდი ფერად სამყაროს,
ვით ზაფხულის მზე კორდსა და წყაროს
მოხატავს ხოლმე.
ვათქმევინებდი მაშინ ჩემს ხელებს
რის თქმაც ბგერებმა ვერაფრით შეძლეს,
დაგანახვებდი ამ სულის ფსკერსაც,
მაგრად არ მყოფნის ფერი თუ ბგერა...
ჩემი ფერების იდუმალ ფეთქვას
წამგვრის სიკვდილი ჩემს გულთან ერთად.

თარგმნა ავთანდილ გაფრინდაშვილმა



ლეონიდე ჯახაია (საქართველო)

გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი და ლიტერატურათმცოდნე სირგი დანელია

სერგი დანელია – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1927), პროფესორი (1930), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944), XX საუკუნის ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურათმცოდნების თვალსაჩინო წარმომადგენელი, დაიბადა 1899 წელს სოფელ ნაჯახაოში (მარტვილის რაიონი), სწავლობდა ხარკოვისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში. მისი მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო: ფილოსოფიის (ძირითადად ანტიკური ფილოსოფიის) ისტორია, რუსული და ლიტერატურის ისტორია. მასვე ეკუთვნის გამოკვლევები სპინოზას, პიუმის, კანტის, რუსოს, კონტის, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ტურგენევის, ლევ ტოლსტოისა და სხვათა შესახებ. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას, ქართულად თარგმნა: არისტოტელეს „პოეტიკა“ და „განმარტებისათვის“, პლატონის „სოკრატეს აპოლოგია“, დეკარტეს „მეტაფიზიკური განაზრებანი“, რუსოს „ემილი“ და სხვა.

სერგი დანელია იყო უაღრესად ფართო დიაპაზონის მეცნიერი. მისი ნაშრომები, ისევე როგორც თარგმანები, გამოირჩევა მეცნიერული სიზუსტით, პუნქტუალობითა და სიღრმით. ისინი დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ მეცნიერულ დირექტულებას. სერგი დანელია ელინური ფილოსოფიური აზროვნების მეცნიერულ-სისტემატური კვლევის ფუძემდებელია, იცავდა ფილოსოფიის დასავლური, კერძოდ, ბერძნული წარმოშობის იდეას, ვინაიდან, მისი აზრით, ფილოსოფია პირველად სწორედ აქ გამოეყო მითოლოგიას და აზროვნების დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ფილოსოფიური აზროვნების აღმოცენების პირობაა თავისუფლება: სწორედ ძველ საბერძნეთში შეიქმნა სოციალურ-კულტურული წანამდლვრები ინდივიდის მიერ სამყაროს თავისუფალი მოაზრებისათვის.

პროფესორმა სერგი დანელიამ შეიმუშავა ფილოსოფიის ისტორიული კვლევის საკუთარი მეთოდოლოგიური პრინციპი, რომლის მიხედვით ფილოსოფიური კვლევა უნდა ეფუძნებოდეს ტექსტის ფაქტზე და კრიტიკულ-ფილოლოგიურ ანალიზს. სერგი დანელია, როგორც პიროვნება, იყო უაღრესად პრინციპული, შრომისმოყვარე, უცხო ენების (ბერძნული, ლათინური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ბრწყინვალე მცოდნე და თავისი ქვეყნის პატრიოტი. იგი ავტორია მრავალი ფილოსოფიური და ლიტერატურათმცოდნებითი ნაწარმოებისა, მათ შორისაა: „აგორისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“ (თბილისი, 1925), „ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობა“ (თბილისი, 1925), „ანტიკური ფილოსოფია (სოკრატეს წინ)“ (თბილისი, 1926), „О философии Грибоедова“ (Тбилиси, 1931), „სოკრატეს ფილოსოფია“ (თბილისი, 1935), „ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან“ (თბილისი, 1936), „პუშკინის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (თბილისი, 1937), „ოგოუსტ კონტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა“ (თბილისი, 1959), „ლიტერატურული ნარკვევები“ (თბილისი, 1960), „კანტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა“ (თბილისი, 1977) და სხვა.

პირველად პროფესორ სერგი დანელიას გვარი შემხვდა 50-იან წლებში, როდესაც მე ვსწავლობდი სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტებს და წავიკითხე სერგი დანელიას წიგნი „ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან“ (თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა, გამოიცა ოთხჯერ:

1936, 1938, 1955 და 1959 წლებში), ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც სერგი დანელია, ფილოსოფიისაგან დათხოვილი, 30-40-იან წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრას (1933-1949 წლებში). მაშინ ეს წიგნი იყო რუსული ლიტერატურის ისტორიის ერთადერთი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. პირადად კი ბატონი სერგი გავიცანი უფრო გვიან - 1962 წელს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიცავდი საკანდიდატო დისერტაციას ფილოსოფიაში, ხოლო ბატონი სერგი გახდათ ოფიციალური ოპონენტი. სერგი დანელია იყო მაღალი, გამხდარი, თმაჭადარა, ნამდვილი ქართველი ინტელიგენტი. დისერტაციასთან დაკავშირებით ერთხელ მიმიწვია სახლში, ვერაზე, რათა გადმოეცა ჩემთვის საკუთარი ხელით დაწერილი დასკვნა, თბილად მესაუბრა დისერტაციის გარშემო, გაუხარდა, როცა გაიგო, რომ ჩემი მშობლები მარტვილიდან იყვნენ.

ჩემი საკანდიდატო დესერტაციის თემა იყო „ადამიანის ცოდნა ბუნების შესახებ“. დაცვა შედგა 1963 წლის თებერვალში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, მესამე სართულზე, №93 აუდიტორიაში, რომელიც ახლა პროფესორ სერგი დანელიას სახელს ატარებს. დანიშნულ დროს სხდომათა დარბაზი აივსო სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით. ჩემი შესავალი სიტყვის შემდეგ რეცენზიის კითხვა დაიწყო ჩემმა პირველმა ოფიციალურმა ოპონენტმა, ქართული ფილოსოფიის უხუცესმა, პროფესორმა სერგი დანელიამ. მან ბოდიში მოიხადა, რომ კითხულობდა რეცენზიის მჯდომარე, რა თქმა უნდა, მას მისცეს ამის უფლება, მაგრამ არავის ეგონა, რომ ეს სერიოზული სიმპოზიუმი იყო. ბატონმა სერგიმ გრცლად გააშუქა ჩემი დისერტაციის ძირითადი შინაარსი, გამოყო მთაგარი, საკვანძო საკითხები, მედგრად იცავდა ჩემს კონცეფციას. მაგრამ კითხვა ვერ დაამთავრა, ცუდად იგრძნო თავი, დალია წყალი და დარბაზიდან გასვლა მოინდომა, კარამდე არ იყო მისული, ჩაიკეცა... იმ წუთშივე მასთან მიცვივდნენ ბიძინა ლუტიძე და ნოდარ კირვალიძე - ჩემი მეორე ოფიციალური ოპონენტი. გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, მაგრამ გვიან იყო, ვერაფერი უშველეს: პროფესორი სერგი დანელია, ქართული ფილოსოფიის სიამაყე, შეეწირა ჩემს დისერტაციას. პროფესორი სერგი დანელია, როგორც მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ქართული ფილოსოფიის კლასიკოსი, უდიდესი პატივით დაკრძალეს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. დაცვა გადაიდო, დაინიშნა სამეცნიერო საბჭოს ახალი სხდომა, იქ პროფესორ კოტე ბაქრაძის, შალვა ადეიშვილისა და სხვების გამოსვლის შემდეგ საბჭომ დამიჭირდ მხარი და მომანიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ბატონი სერგის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა მისი მდიდარი სამეცნიერო და ლიტერატურული მემკვიდრეობის შემსწავლელი კომისია, რომელმაც გადმომცა მე, როგორც დისერტაციის ეგზემპლარი ფანქრით გაკეთებული შენიშვნებით და სქელი რვეული, სადაც სერგი დანელიას ხელით დეტალურად დაკონსპექტებული იყო ჩემი საკანდიდატო დისერტაციის მნიშნელოვანი ნაწილი. თავისთვის ეს მოვლენა იშვიათია, შეიძლება ითქვას, უნიკალური და უჩვეულოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ კონსექტს ადგენდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, მე კი ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს ვდგამდი ფილოსოფიაში. ამიტომ ჩემი პირველი რეაქცია იყო გაკვირვება. პროფესორ სერგი დანელიას ოფიციალური რეცენზია იყო სულ 6 თუ 7 გვერდზე. მან არ ჩათვალა საჭიროდ გაეტანა საჯარო განხილვაზე თავისი კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც უხვად იყო ხელნაწერში. სამწუხაროდ, უველა ეს მასალა დარჩა სოხუმში, ჩემს არქივში, რომლის ბედი უცნობია.

როდესაც 90-ან წლებში ჩვენ, სოხუმელები, აღმოგჩნდით თბილისში, დევნილ-თა სტატუსით, მე რამდენიმეჯერ თაიგულებით შევამკე სერგი დანელიას საფლავი დიდუბის პანთეონში. ყველაზე საოცარი იყო ის, რომ წლების განმავლობაში, თბილისელების გაცხობისას, მე შემდეგნაირად წარმადგენდნენ: „გაიცანით, ეს ის ლეთნიდე ჯახაიაა, რომლის დისერტაციის დაცვაზე გარდაიცვალა პროფესორი სერგი დანელია“: მე მივენვი ამას, მით უმეტეს, რომ დარწმუნებული ვიყავი, გავამართლებატონს სერგი დანელიას მაღალი შეფასება, მისი დადებითი რეცენზია: გავხდი ფილოსიფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქართული ფილოსოფიის მიღწევები გავიტანე საქართველოს ფარგლებს გარეთ (რუსთი, უკრაინა, ბულგარეთი და ჩეხოსლოვაკია), ვარ მრავალი წიგნის, მონოგრაფიისა და ფილოსიფიის დარგში სახელმძღვანელოების ავტორი, მათ შორის ცნობარისა „ქართველი ფილოსოფოსები“, სადაც საპატიო ადგილი უკავია პროფესორ სერგი დანელიას.

მარტვილის რაიონში ბევრი სახელმძღვანი შვილი გაზარდა, მაგრამ პროფესორი სერგი დანელია გამორჩეულია. მივესალმები მარტვილის ინტელიგენციის წამოწებას – გამოუშვას კრებული, მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის პროფესორ სერგი დანელიას ხსოვნისადმი. ვამაყობ, რომ ჩემი წინაპრები იყვნენ მარტვილის მკვიდრნი, რომ ორივე ჩემი ბაბუა – ეგნატე ჯახაია (მამის მხრიდან) და ანდრია ზარქუა (დედის მხრიდან) – ცხოვრობდნენ მარტვილში, ხოლო სოფელს, სადაც პროფესორი სერგი დანელია დაიბადა, პქვია „ნაჯახაო“ (შედარებისთვის: ახლომდებარე სოფლებს ეწოდება – „ნაგვაზაო“, „ნახარებაო“ და ასე შემდეგ).

Leonid Djakhaia
Prominent Georgian philosopher and literary scholar Professor Sergi Danelia
Summary

The paper by Prof. Leonid Djakhaia – it is the reminiscence about his personal encounters and dialogues with the prominent Georgian philosopher and literary scholar of the XX century Professor Sergi Danelia, about his philosophical works, his Georgian translation of the classics of world philosophy, about his birthplace – village Nadjakha in Martvili region.

Леонид Джахая
Выдающийся грузинский философ и литературовед
профессор Серги Данелия
Резюме

Статья профессора Леонида Джахая – это воспоминания о личных встречах, беседах с выдающимся грузинским философом и литературоведом ХХ столетия профессором Серги Данелия, о его философских трудах, переводах на грузинский язык классиков мировой философии, о селе Наджакхао Мартвильского района, где родился профессор Серги Данелия.



ანა ჩიქვანაია (საქართველო)

გარტვილის მუზეუმის შექმნის სათავეებთან (1957-1960 წე.)

2010 წლის ივნისში 50 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც მარტვილის (მაშინდელი გეგეტკორის) მხარეთმცოდნების მუზეუმია, რომელიც დღეს მისი დამუშავებლის გივი ელიავას სახელს ატარებს, საზემოდ აღნიშნა სტაციონალური გამოფენის გახსნა და პირველი დამთვალიერებლების მიღება დაიწყო. 2007 წლის 1 ივნისს, როცა დამტკიცდა მუზეუმის მცირერიცხვანი შტატი ისტორიკოს გივი ელიავას ხელმძღვანელობით, მუზეუმი ჯერ მხოლოდ ქადალდზე არსებობდა. მუზეუმის შექმნას დრო და სათანადო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება სჭირდებოდა. ამ მცირერიცხვანმა ჯგუფმა არა მხოლოდ მარტვილში, არამედ მთელს აღმოსავლეთ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა აქტიურ სამუზეუმო საქმიანობას, რაც სამუზეუმო მასალების მოძიებას, შეგროვებას, ფონდის შექმნას და ექსპონიის გამართვასთან ერთად საბოლოო ჯამში ისეთი მუზეუმის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა, რომელიც შეძლებდა მხარის ისტორიის ღრმად შესწავლასა და კვლევას ყველა მიმართულებით.

ამოცანა საგმაოდ რთული ჩანდა, რადგან მუზეუმის შექმნა მთელი მისი ფუნქციური დატვირთვით, თითქმის ყამირ ადგილზე უნდა დაწყებულიყო. პედაგოგისტორიკოსმა გივი ელიავამ მარტვილში მუზეუმის ჩამოყალიბება მასწავლებლობის დროიდან დაისახა მიზნად, იმ დროიდან, როდესაც მოსწავლეებთან ერთად დაიწყო საველე გაკვეთილების ჩატარება, ექსპედიციების მოწყობა, ისტორიული ძეგლებისა და ადგილების გაცნობა. ასეთი გაკვეთილები უფრო საინტერესოს ხდიდა სწავლების პროცესს, უღვივებდა მოსწავლეებს ისტორიის სიყვარულს. ასახსნელ მასალას ბ-ნი გივი ამდიდრებდა ეპიზოდებით მხარის ისტორიული წარსულიდან. დღეს ყველა მისი მოსწავლე კმაყოფილებით იხსენებსა ამ გაკვეთილებს.

გივი ელიავამ შემოიღო მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების ჩატარების პრაქტიკა. პირველი ასეთი კონფერენცია მარტვილში 1951 წელს, ხოლო პირველი ექსპედიცია მოსწავლეთა მონაწილეობით – 1949 წელს ჩატარდა, – იხსენებს გივი ელიავას ყოფილი მოსწავლე და მუზეუმის თანამშრომელი დაარსების პირველი წლებიდანვე როლანდ ადამია.

მოსწავლეებთან ერთად ექსპედიციის მოწყობა, რომელიც დაზვერვით ხასიათს ატარებდა, მიზნად ისახავდა ადგილზე კულტურის ძეგლებისა და ნაშთების დათვალიერებას, მონიშვნას, რაც თავისთავად უკვე იყო რაიონის კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული ძეგლების შესწავლისათვის გადადგმული ნაბიჯი.

ასეთი გასვლების დროს ძეგლების დათვალიერებამ, უცხუცეს ადამიანებთან შეხვედრებმა და საუბრებმა, მათმა მონათხოვბმა, ნანახმა გივი ელიავას მტკიცედ გადააწყვეტინა ისტორიული მუზეუმის შექმნა, თუმცა, იგი შემდეგ, თავის ჩანაწერებში იმასაც აღნიშნავდა, რომ თავდაპირველად მისი სურვილი ყოფილა მარტვილში დავით აღმაშენებლის აღმზრდელისა და მასწავლებლის გიორგი ჭყონდიდელის მემორიალური მუზეუმის დაარსება. მარტვილ-ჭყონდიდთან თავისი სახელითა და მოღვაწეობით მჯიდროდ დაკავშირებული დიდი სახელმწიფო მოღვაწის გორგი ჭყონდიდელის ისტორიის სიღრმიდან მზირალი მონუმენტური სახე გამხდარა მისთვის მუზეუმის შექმნის შთაგონების წეარო და 50-იანი წლებიდან მოყოლებული ყველაფერს აკეთებდა მიზნის მისაღწევად. ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებელი ყველაფერს აკეთებდა მიზნის მისაღწევად. ყველგან, სადაც კი ამის შესაძ

ლებლობა არსებობდა, ახმოვანებდა თავის იდეას, ცდილობდა ხელმძღვანელობის დაინტერესებას.

მარტვილი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ადგილებით. ყოველ სოფელში გვხვდება ძეგლად ქცეული ისტორიის მოწმეები: ეკლესიები, ციხეები ან მათი ნანგრევები, დროუამისაგან მიწით დაფარული ან ამაყად წამომართული, ნასოფლარები და ნაქალაქარები, ხალხის მესსიერებაში ტოპონიმებად ქცეული ან კიდევ გადმოცემებსა და ლეგენდებში არსებული. ყოველივე ამას შეკრება-შეგროვება, მივიწყების ფერფლისაგან დაცვა სჭირდებოდა.

საჭირო იყო ხელისუფალთა დაინტერესება, მხარდაჭერის მოპოვება, ოფიციალური ნებართვა, ბაზა და, რა თქმა უნდა, დაფინანსება. ეს ინტერესი და მხარდაჭერაც მოპოვებულ იქნა იმ აქტიური საქმიანობით, რასაც გივი ელიავა თავის თანამოაზრებთან ერთად მიზანმიმართულად ეწეოდა. 1957 წელს შეიქმნა საორგანიზაციო კომისია, რომლის მიზანი ნიადაგის მოსინჯვა, აქტივის შემოკრება და მუზეუმის დაფუძნებისათვის საჭირო რაოდენობის სამუზეუმო მასალის შეგროვება იყო. ჩანს, რომ ამ კომისიამ წარმატებულად იმუშავა: გაიჩინა და შემოიკრიბა მხარდამჭერები, ენთუზიასტები, დაინტერესებული პირები, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრიდან. უმოკლეს დროში შეიქმნა შესაძლებლობა მუზეუმის საფუძვლის ჩაყრისათვის და მართლაც, „1957 წლის 1 ივლისისათვის საორგანიზაციო კომისიის განკარგულებაში უკვე არსებობდა 600 სხვადასხვა სამუზეუმო მასალა, ყველაფერი ეს საფუძვლად დაედო მუზეუმის გახსნას და 1957წ. 1 ივლისს მუზეუმის შტატი შეუდგა მუშაობას“ (გ. ელიავა, სამეცნიერო სესიის მასალები, 1960წ.).

მიზანი ამ ეტაპზე მიღწეული იყო. მუზეუმი ოფიციალურად შეიქმნა. დაინიშნა დირექტორი – გივი ელიავა. კომისარიატის შენობაში ერთი ოთახი გამოიყო. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მუზეუმის არსებობას. ეს მხოლოდ საქმის დასაწყისი იყო. მუზეუმის ჩამოყალიბებამდე უამრავი სამუშაო იყო ჩასატარებელი და დაიწყო სამუზეუმო საქმიანობის ახალი ეტაპი, დაუდალავი მეცნიერება და შრომა, რომელიც 1960 წლის ივლისის დასაწყისში, სამი წლის თავზე, მუზეუმის სტაციონალური გამოფენის გახსნით დასრულდა.

1957-1960წწ. მხარეთმცოდნებო ჯგუფისათვის, რომელშიც თავდაპირველად შედიოდნენ: დირექტორი გივი ელიავა, მეცნიერ-მუშაკები – დავით გაბისონია, ნაზი ჯვებენავა, მუზეუმის მცველი აკაკი გაბისონია, უშტატო ხელშეკრულებითი თანამშრომლები – ფოტოგრაფი რეზო ინჯგია, მხატვარი მიხეილ (მიშა) დანელია, როლანდ ადამია, მიხეილ კამიშევი, გიორგი ჯაყელი და სხვები, ინტენსიური, დაუცხრომელი საკვლევაძებო საქმიანობის წლები იყო, რომლის დროსაც მუზეუმელები იძენდნენ ახალ-ახალ თანამოაზრებს არა მარტო მხარეში, არამედ რესპუბლიკის მასშტაბით.

მუზეუმის დაფუძნებას მარტვილში გამოეხმაურა და მას დახმარება გაუწია არაერთმა სამეცნიერო დაწესებულებამ, მუზეუმმა. ერთ-ერთი პირველი რიგი ეჭსაონატებისა, რომელიც შემოსულია და ფონდის საინვენტარო წიგნებშია გატარებული, არის თბილისის ჯანაშიას სახელობის მუზეუმიდან საკაჟიას გამოქვაბულის არქეოლოგიური მასალები: ნუკლეუსები, საჭრისები, ლამელები, საფხევები, ისრის წვერები, ჩუგლუგები და სხვა (არქეოლოგიური გიორგი ნიორაძის კოლექცია).

1957-1958წწ. – საკაჟიასა და თეთრი მიწის არქეოლოგიური მასალები, საომარი საჭურველი და ფოტო-დოკუმენტები – ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან.

ნუკლეუსები მასალა – 70-მდე ერთეული სხვადასხვა დროის ქართული და უცხოური მონეტებისა დავით კაპანაძის კოლექციიდან (თბილისის სახ. მუზეუმი).

1957 წელს ცნობილმა გეოლოგმა, პროფესორმა მირიან ძველაიამ ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ახალფეხადგმულ მუზეუმს და გადმოსცა გეოლოგიური ნიმუშების მთელი კოლექცია, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც მუზეუმში ბუნების განყოფილების ექსპოზიციაშია ჩართული.

თბილისის ლიტერატურის, ზუგდიდისა და საგურამოს მუზეუმებმა მარტვილის მუზეუმს გადმოსცეს ფოტოდოკუმენტები, ისტორიულ პირთა ფოტოსურათები და სხვა სახის მასალები.

ეს იყო ის ძირითადი ფონდი, რომელსაც 1957 წელს მუზეუმი დაეფუძნა. პარალელურად დაიწყო საკვლევაძიებო სამუშაოები ადგილობრივი მასალების გამოსაჭლენად და შესაგროვებლად. საქმეში ბევრი ენთუზიასტი ჩაერთო. პირველები მუზეუმს დაუკავშირდნენ და ეხმიანებოდნენ მის ყოველ ახალ ნაბიჯს რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები: როდიონ ფალავა, გედეონ ხუხუნი, მართა ჩიქოვანი, რემანოზ ძაძიმია, დავით ჯანჯლავა, ნიკოლოზ ოსიძე, გული ნოდია, ბოშაია გაბუნია, მინდა ფალავა, ბიქენტი გეგელია, ვასილ გადილია, სტეფანე დარჯანია...

მუზეუმის დაფუძნებისთანავე შეიქმნა სამეცნიერო საბჭო, რომელშიც შევიდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები: კლიმენტი ხუბულავა, ვარლამ თოდუა, ვლადიმერ ახვლედიანი, გივი ბახია, ოთარ ჯლარკავა; ინტელიგენციიდან: ვარლამ ხაურიმია, აკაკი სურმავა, სოლომონ ქუთათელაძე, ვენერა ბარათელი, მართა ჩიქოვანი, კლიმენტი ქორდანია, ერასტი ბჟალავა; მუზეუმის მუშაკები: დავით გაბისონია, ნაზი ჯვებენავა, რეზო ინჯგია.

სამეცნიერო საბჭო განიხილავდა ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას მუზეუმის საქმიანობაში. „ამოცანად იქნა დასახული, – როგორც შემდგომ გივი ელიავა 1960 წლის სამეცნიერო სესიის მასალებში წერდა, – რაიონის ცალკეული სოფლების გულდასმით მეცნიერული შესწავლა, ადგილების არქოლოგიური დაზვერვა, ეთნოგრაფიული, ფოლკლორლი მასალების მოძიება“ და დაიწყო პირველი ოფიციალური ექსპედიციები, პირველი გასვლები ადგილებზე წინასწარ შედგენილი საექსპედიციო გეგმების მიხედვით, რომელთაც სამეცნიერო საბჭო იხილავდა და ამტკიცებდა. საექსპედიციო გეგმებში მითითებული იყო მარშრუტი, ექსპედიციის შემადგენლობა და ხასიათი. ასეთი გეგმებით იარეს მუზეუმის მუშაკებმა გივი ელიავას ხელმძღვანელობოთ მთასა თუ ბარში, სოფლიდან სოფლად... მოძიებული მასალა მიჰქინდათ მუზეუმში, სადაც ხდებოდა მათი დახარისხება-დალაგება, აღწერილობის შედგენა. ინტენსიური საექსპედიციო მუშაობის შემდეგ შესაძლებელი გახდა მარტვილის რაიონის ისტორიული ძეგლებისა და ადგილების პირველი რუკების შედგენა. რუკებზე ნაჩვენები იყო ქვის ხანის ადამიანთა საცხოვრისები ნახუნაოში, ბალდაში, ნალექსაოში, გაჭედილში, კურზუში... დატანილი იყო შეა საუკუნეების საყოფაცხოვრებო და საფორტიფიკაციო ხასიათის ნაგებობები, ეკლესია-მონასტრები, ნანგრევები, ჯიხები (ციხეები), ნაქალაქარები, სახიზრად გამოყენებული ქვაბულები; მითითებული იყო მეტალურგიული, კერამიკული წარმოებისა და საკულტო-სარიტუალო კერები.

პირველივე წელს შემოვლილი და მთლიანად შესწავლილი იქნა მთისწინა სოფლები. ამ და მომდევნო წლის ექსპედიციებში მონაწილეობდნენ, უფრო მეტიც, ზოგჯერ ხელმძღვანელობდნენ კიდეც გეოლოგიური სამიებო სამუშაოების ჩასატარებლად თბილისიდან ჩამოსული გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მირიან ძველაია, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დ. ქიქოძე, ეთნოგრაფი თ. თოფურია. ასეთი გასვლები საველე საქმიანობაში გამოცდილ მეცნიერებთან ერთად მთელი სკოლა იყო საკვლევაძიებო საქმიანობის ჩატარების გამოცდილების შეძენის თვალსაზრისით. ფაქტობრივად, ეს იყო პრაქტიკული გაკვთილი გივი ელიავასა და ექსპედიციის სხვა წევრებისათვის იმის შესახებ, თუ რო-

გორ უნდა ეწარმოებინათ ნამდვილი საექსპედიციო მუშაობა, მოეპოვებინათ მასალები, შეესრულებინათ პირველი ჩანაწერები, დაემუშავებინათ და დაეხარისხებინათ ისინი, გაეკეთებინათ მათი სრული აღწერილობა და ასე დამუშავებული სახით აეყვანათ სახელმწიფო აღრიცხვაზე საინვენტარო და ძირითად შემოსულობათა წიგნებში, როგორც უკვე სამუზეუმო ექსპონატები.

მუზეუმის დაფუძნებიდან პირველი 2-3 წელი ექსპედიციები სისტემატურ ხასიათს ატარებდა. მოპოვებულ იქნა ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ხელნაწერი, ფოტო, ნუმიზმატიკური, ფოლკლორული და სხვა ხასათის უამრავი მასალა. ამ ექსპედიციებმა მარტო 1957 წელს 1000-მდე ექსპონატი შესძინა მუზეუმს.

კიდევ უფრო გაფართოვდა ძიებითი სამუშაოები 1958 წელს. შესწავლილ იქნა სოფლები: ნახენაო, ბალდა, სალხინო, ნაჯახაო, ბანდა, ჭყონი, ვედიდკარი, ასხის მთა... ამ წელს შეგროვდა 1500-ზე მეტი მასალა და ნივთი. ექსპედიციებს სოფლებში თან ახლდა შეხვედრები აღილობრივ მოსახლეობასთან. მათი გააქტიურების მიზნით ტარდებოდა საუბრები, ლექციები, რაც მოსახლეობაში აღვივებდა ინტერესს და რამაც ბევრი რესპონდენტი და ყოფითი ხასიათის ნივთების შემომწირველი შესძინა მუზეუმს. ბევრმა ათეულ წლობით ნალოლიავები თუ მტვერწაურილი საოჯახო რელიქვია გაიმეტა და ექსპედიციის წევრებს გადასცა; ბევრს თავად მიპქნდა მუზეუმში. ამ მხრივ მისაბამი იყო 1957 წელს დვაწლმოსილი ადამიანის ვასილ გადილიას სიქველე. მან მუზეუმს, როგორც გივი ელიავა ჩანაწერებში აღნიშნეს, გადასცა 5200 მანეთის დირექტულების შემოწირულობა. ასეთები მრავლად იყვნენ, თუნდაც იურისტი ბოშაია გაბუნია და მისი მეუღლე მინდა ფადავა, რომელთა ოჯახმა უერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები ჩააბარა მუზეუმს.

1957-1958 წლების საძიებო სამუშაოები წარმატებული აღმოჩნდა. მუზეუმს ხელო ჰქონდა ექსპონატთა აუცილებელი რაოდენობა, რის საფუძველზეც, პრაქტიკულად შესაძლებელი გახდა შემდგომი ნაბიჯის გადადგმა – სტაციონალური გამოფენის მოწყობა. ექსპოზიცია თემატური და გრაფიკული საექსპოზიციო გეგმების შედგენას საჭიროებდა. შესაბამისი კონსულტაციების მიღების შემდეგ ასეთი გეგმაც შედგა გივი ელიავას ხელმძღვანელობით. მის შედგენაში მონაწილეობდნენ როგორც მუზეუმის თანამშრომლები, ასევე შტატგარეშე მუშაკები. გეგმის რეცენზები იყვნენ: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ლუკა ციხისოფავი და პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი ე. მახარაძე.

თემატური და გრაფიკული საექსპოზიციო გეგმები დასამტკიცებლად წარედგინა კულტურის სამინისტროსთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს.

საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა გივი ელიავას მოხსენება მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციის პროექტის შესახებ. სხდომას, საბჭოს წევრ სხვა მეცნიერებთან ერთად, ესწრებოდა ცნობილი ეთნოგრაფი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია. გივი ელიავა თავის მოგონებათა წიგნში წერს, რომ სურვილი ჰქონდა გასცნობოდა ამ დიდ მეცნიერს, რისი შესაძლებლობაც ამ სხდომაზე მიეცა.

გიორგი ჩიტაიას ყურადღებით მოუსმენია გივი ელიავას გამოსვლისათვის, რამდენიმე შენიშვნისა და შეკითხვის შემდეგ კმაყოფილება გამოუთქვამს და დადგებითად შეუფასებია წარმოდგენილი საექსპოზიციო გეგმის პროექტი. მის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო პროექტის მისაღებად, არამედ მუზეუმის მომავალი საქმიანობისთვის. იმავე დღეს გიორგი ჩიტაიამ გივი ელიავას გააცნო თავისი მეუღლე, ცნობილი ეთნოგრაფი, პროფესორი ვერა ბარდაველიძე. ასე დაწყებული ნაცნობობა მაღლე საქმიან და ახლო მეგობრულ ურთიერთობებში გადაიზარდა, რაც მათი სიცოცხლის ბოლომდე არ შეწყვეტილია. მუზეუმი მუდმივად იყო გარემოსილი ამ დიდბუნებოვანი ადამიანების ფურადღებითა და დახმარუ-

ბით. გივი ელიავა ეთნოგრაფიის საკითხებში მათგან იდებდა კონსულტაციებს და პირველი ეთნოგრაფიული გამოფენაც დია ცისქვეშ მათი ხელშეწყოით გაიმართა.

გარდა გიორგი ჩიტაისი და ვერა ბარდაველიძისა, დაფუძნებიდანვე მუზეუმის ქმანები იყვნენ: ვარლამ თოფურია, აკაკი გაწერელია, მირიან ძველაია, სერგი მაკლათია, გიორგი ჩუბინაშვილი, აკაკი შანიძე, სერგი ჯიქია, სერგი დანელია და სხვები.

ზემოთ უკვე შევეხეთ და აქაც საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ პროფესორ მირიან ძველაისა უანგარო დახმარება მუზეუმისადმი. გარდა იმისა, რომ მან გეოლოგიური ნიმუშების მთელი კოლექცია და სხვა მასალები გადმოსცა მუზეუმს, მისი უშუალო რეკომენდაცით, ხელშეწყობითა და კონსულტაციით შეიქმნა მუზეუმის ბუნების განყოფილების ექსპოზიცია. 1958-1958წ. მირიან ძველაია გეოლოგიურ საკავშირო სამუშაოების აწარმოებდა საქართველოში. იყო მარტვილშიც, სადაც ხანგრძლივად დარჩა და შეადგინა მარტვილის გეოლოგიური რუკა, მოახდინა ნიადაგის ჭრილის სტრატიგრაფია. აკეთებდა სქემებსა და დიაგრამებს, რომელთაც შემდეგ მუზეუმში ტოვებდა. მსგავსი დახმარება და ურთიერთობა მუზეუმთან სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყებია. ამ დიდებულმა დამინანძა სწორედ მარტვილის მუზეუმს უანდერა მთელი თავისი არქივი და ბიბლიოთეკა, რომელიც დღეს მუზეუმის კუთხით გვითხოვთ.

მუზეუმს ჭირისუფლობდა და ქომაგობდა ვარლამ თოფურია, რომელიც, მართალია, მარტვილში არ ყოფილა, მაგრამ თბილისიდან არ აკლებდა ყურადღებასა და მზრუნველობას, ეხმანებოდა მუზეუმს წერილობით; აძლევდა პრაქტიკულ რჩევებს გივი ელიავას და ხშირად შუამდგომლობდა კიდეც სახელისუფლებო ორგანიზაციის.

მუზეუმის წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვის სერგი მაკალათიას. მან უშურველად გადასცა მუზეუმს იშვიათი ხელნაწერები, სხვა დოკუმენტები, ოქროს მონეტები. „სერგი მაკალათია ჩვენს მუდამ კეთილგანწყობილ მეგობრად რჩებოდა“, – წერს გივი ელიავა თავის მოგონებებში.

აკაკი გაწერელია მუზეუმის დაფუძნებისთანავე წერილით გამოეხმაურა ამ ფაქტს და თავისი პრაქტიკული რჩევები და დახმარება არ დაუკლია მისთვის. მრავალგზის სტუმრობდა მუზეუმს. დაესწრო მუზეუმის გახსნის ზეიმს და პირველი ჩანაწერიც შთაბეჭდილებათა წიგნში მან გააკეთა.

ასევე მნიშვნელოვანია გიორგი ჩუბინაშვილის უურადღება და დახმარება მუზეუმის დაარსების პირველ ხანებში.

აკაკი შანიძე – ქართული ენათმეცნიერების ეს ბერმუხა – იცლიდა მუზეუმის დასახმარებლად. ამ ადამიანთა მფარველობა, ქომაგობა და თანადგომა, პრაქტიკული რჩევები და კონსულტაციები გახდა ის ხელშემწყობი ფაქტორი, რამაც შესაძლებელი გახადა უმოკლეს დროში მუზეუმის ჩამოყალიბება. 1960 წლის 9 ივლისს მუზეუმის გახსნა იყო საზღვრის თავდაუზოგავი, მიზანმიმართული მუშაობის შედეგი, თუმცა, ამ ხნის მანძილზე მუზეუმის მუშაკებს მეგობრებთან ერთად არ აკლდათ „ქილიკა ადამიანებიც“, როგორც გივი ელიავა იტყოდა ხოლმე, რომლებიც ირონიულად უყურებდნენ მისი და თანამშრომლების საქმიანობას და „ქვების შემოვალებებს“ უწოდებდნენ მათ.

მოხდა სასწაული და ამ „ქვებიდან“ შეიქმნა მუზეუმი, რომელმაც გახსნის ზემთხვევლი არაერთ სტუმარს თუ ადგილობრივს ადგილობრივს სიტყვები ათებევინა. „აღტაცებით ამატირა მუზეუმმა მარტვილისამ, სამეცნიერო ამატკივა და შემატებო ამ ტკივილთან“, – იტყვის შემდეგ პოეტი.

1960 წლის 9 ივლისს საზეიმოდ გაიხსნა მუზეუმი. ჩამოვიდნენ სტუმრები თბილისიდან, ქუთაისიდან, ვანიდან, ხონიდან, ზუგდიდიდან, ოზურგეთიდან...

გაიმართა მიტინგი. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ჩამოსული სტუმრები თუ ადგილობრივი ხელისუფლებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. არაერთი თბილი სიტყვა ითქვა მუზეუმის დამფუძნებელთა და შემქმნელთა მისამართით.

ზემოს შემდეგ გაიხსნა მუზეუმის პირველი სამეცნიერო სესია.

მუზეუმის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება. ამ დროის განმავლობაში მუზეუმი კიდევ უფრო გაფართოვდა, შეივსო და გამდიდრდა ექსპონატებით. უფრო სრულყოფილი და მარაგალფეროვანი გახდა სამუზეუმო საქმიანობა: შეკრებით-შეგროვებით, საფონდო, საექსპოზიციო, კვლევითი, საგამომცემლო, კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით და განვითარებით. მანძილზე საკმაოდ ცნობილ რეგიონალურ მუზეუმად ჩამოყალიბდა.

Ana Chikvanaia
Origins of Martvili museum
Summary

In 2010 area studies museum of Martvili (former Gegechkori Museum), which at present carries the name of Givi Eliava – the founder of the museum, has celebrated the 50th anniversary since its first exhibition. On 1 July, 2007 when the staff of museum headed by Givi Eliava was appointed, the museum existed only on paper.

The paper shows the preparatory works conducted for the foundation of the museum, reveals the dynamic activities carried out in the Eastern Georgia. The paper displays the role of the people who have contributed to the development of the museum.

Анна Чикваная
У истоков создания Мартвильского музея
Резюме

В июле 2010 года исполнилось 50 лет с того дня, как Мартвильский краеведческий музей, который сегодня носит имя его основателя Гиви Элиава, торжественно был открыт и принял первых посетителей.

В статье рассказывается о подготовительных работах по созданию музея. Основание для деятельности музея заложено не только в Мартвили, но и во всей Восточной Грузии. В работе дана оценка тех людей, которые оказали большое содействие в создании музея.



ს ა რ ჩ ვ 3 0:

1. ნამიგ ალიევი 3
კაცებია და მიხეილ ქურდიანი
Namig Aliyev
Caucasia and Mikheil Kurdiani
Намик Алиев
Кавказ и Михаил Курдиани

2. ნიკო ჯავახიშვილი 4
მიხეილ ქურდიანის მოსაზონარი
Niko Javakhishvili
Mikheil Kurdiani's Memoirs
Нико Джавахишвили
Воспоминание о Михаиле Курдиани

ვ 0 ლ მ ლ მ ბ 0 ს – PHILOLOGY – ФИЛОЛОГИЯ

3. ნანა ჯუცია 6
„მუკუნიერი სახოწარებელი“
თამაზ ბაძაგუა, „სიზმარში მაინც ვხვდებით ურთმანეთს“
Nana Kutsia
Poetry of Tamaz Badzaghuia
Нана Куциа
Поэзия Тамаза Бадзагуа

4. ლალა ახმედოვა 13
XX საუკუნის დერეგ ნახევრის რესული ქალაქური პროზა
Lala Akhmedova
The Russian city prose of the second part of XX century
Лала Ахмедова
Городская проза в русской литературе эпохи «Оttенели» и «застоя»

5. თამარ დიასამიძე 22
სახის გამომუტყველება როგორც კომუნიკაციის ელემენტი
Tamar Diasamidze
Facial Expressions as Element of Communication
Тамар Диасамидзе
Выражение лица как элемент коммуникации

6. ოლგა პეტრიაშვილი 27
ქართული თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგის ფორმა
Olga Petriashvili
Literary translation as a form of dialogue between cultures
Ольга Петриашвили
Художественный перевод как форма диалога культур

7. სალომე კაპანაძე ხელოვნების კრიზისი ინტელექტუალური დრამის კოლონიებში	31
Salome Kapanadze <i>Art crisis in the collisions of intellectual drama</i>	
Саломе Капанадзе <i>Кризис искусства в коллизиях интеллектуальной драмы</i>	
8. მარინა მენთეშაშვილი გენდერული კვლევები უცხოურ ენათმეცნიერებაში	36
Marina Menteshashvili <i>Gender Researches in the Foreign Linguistics</i>	
Марина Ментешашвили <i>Гендерные исследования в зарубежной лингвистике</i>	
9. გულნარა დიასამიძე ემოციურობის ეროვნული მნიშვნელობა	42
Gulnara Diasamidze <i>National significance of emotives in the world languages</i>	
Гульнара Диасамидзе <i>Национальная значимость эмотивов в языковой картине мира</i>	
10. რამილა მამედოვა ექსპრესიული ხასაღებები ფრაზოლოგიური ერთეულების გამოყენებისას	46
Ramilya Mamedova <i>Expressive means in translation of phraseological units</i>	
Рамиля Мамедова <i>Средства выразительности при переводе фразеологических единиц</i>	
11. ანჯელა შილინა განიკულირების ხასაღებები ქალთა ქურნალებში (თემატური ჯგუფის მახალებზე)	52
Angela Shilina <i>Means of manipulating influence in genres of women magazines (research materials are genres of theme group "Woman and her appearance")</i>	
Анжела Шилина <i>Способы манипулятивного воздействия в жанрах женских журналов (на материале жанров тематической группы «Женщина и ее внешний вид»)</i>	
12. ლუარა მესხია ლუარა სორდიას მუნიციპალიტეტი	59
Tsiala Meskhia <i>Scientific Outlook of Luara Sordia</i>	
Циала Месхиа <i>Научное мировоззрение Лауры Сордия</i>	

13. Ծարանձ ձեզեյօնձալայզա Ժյշտությունը և առաջարկությունը ուրուցագույքի մուսանության վեհաջաղացներին Tarana Huseynbalayeva <i>Essential Characteristics of Old and Modern Hebrew Orthography</i> Тарана Гусейнбалаева <i>Основные различия древнееврейской и современной еврейской орфографии</i>	66
14. Հանձնական ամերուզա XX Ազգային մշտական ամերուզա ժամանակաշրջանի մասին Lala Akhmedova <i>The Azerbaijani city prose of the second part of XX century</i> Ахмедова Лала <i>Городская проза в азербайджанской литературе эпохи «оттепели» и «застоя»</i>	72

ՆԱԶԱՐՄՈԱՀՅԱՊՐԵԲԵՐՋԱ — JURISPRUDENCE — ПРАВОВЕДЕНИЕ

15. Օրոնձ գալույզա Ճանաչության պահանջման այլականացումներ: Վայրի անհանդապահությունը և անհանդապահությունը Irina Galaeva <i>Rule of Law: Necessity and Importance</i> Ирина Галаева <i>Верховенство закона: необходимость и значимость</i>	78
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----

**ՀԱՐՑՈՎՈՋԱ ԳԱ ՖԱՌՈԽՅԱ
ECONOMICS AND TOURISM — ЭКОНОМИКА И ТУРИЗМ**

16. Կորուպցիա և առողջություն Համարակալության առաջնային առանձին տեսակները Urmat Ryskulov <i>Lobbying as a Form of Corruption</i> Урмат Рискулов <i>Лоббирование как форма коррупции</i>	84
17. Եղանակ բացադրության համար և գումարային առողջության համար Տարածված առողջության առաջնային առանձին տեսակները Nugzar Navadze, George Tedoradze, Guram Metekheli <i>The Basic Forms to Determine the Irregularity of Passenger Traffic Flow and Rolling Stock on Commuter Routes</i> Нугзар Навадзе, Георгий Тедорадзе, Гурам Метехели <i>Основные формы для определения неравномерности пассажиропотоков и подвижного состава на пригородных маршрутах</i>	90

18. მეთინ მერკან უცხოური ბანკების მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნებისთვის Metin Mercan <i>What brings foreign bank in emerging countries.</i>	95
Метин Меркан Значение зарубежных банков в развитии страны	
19. სალავათ საიფულინი საბაზო ზრო მოთხოვნის მრցვი Salavat Sayfullin <i>The market demand curve</i> Салават Сайфуллин Кривая рыночного спроса	102
20. თეა ქილტეცხლაშვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და გაონიშვნებური ზრდა საქართველოში: გვოლუცია, პრობლემები და პერსპექტივები Tea Kbiltsetskhlashvili <i>FDI And Economic Growth in Georgia: Ecolution, Pribblems and Perspectives</i> Тея Кбилицхлашвили Прямые иностранные инвестиции и экономическое развитие в Грузии: Проблемы и перспективы	109

ვილოომია — PHILOSOPHY — ФИЛОСОФИЯ

21. ხათუნა ამაღლობელი ელვინ ტოფლერი და „მესამე ტალღა“ Khatuna Amaghlobeli <i>AAlvin Toffler and "Third Wave"</i> Хатуна Амаглобели Эльвин Тофлер и «третья волна»	122
22. გულნარა აბდულლაევა შლომო იბნ გაბიროლის ფილოსოფიური მოღვაწეობა Gulnara Abdullayeva <i>Shlomo Ibn Gaborul's philosophical activity</i> Гульнара Абдуллаева Философская деятельность Шломо ибн Габироль	127

ისტორია და პოლიტოლოგია — HISTORY AND POLITOLOGY — ИСТОРИЯ И ПОЛИТОЛОГИЯ

23. ულვია აბასოვა ევროპავმირის ენერგეტიკური გენერაციური მოწყვეტილება (მთავარი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები) Ulvia Abbasova <i>Energy security of the EU states: main challenges and the ways to settle them.</i> Ульвия Аббасова Энергетическая безопасность стран Евросоюза (Основные проблемы и пути их решения)	133
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----

24. სონა ალიევა	138
საინფორმაციო საშუალებების როლი სეპარატისტული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში	
Sona Aliyeva	
<i>Role of Information Means in Struggle Against Separatist Terrorism</i>	
Сона Алиева	
<i>Роль информационных способов в борьбе с сепаратистским терроризмом</i>	

ბიოლოგია — BIOLOGY — БИОЛОГИЯ

25. მარინა ზარკუა	142
ძველი და გადამცური დათბობა	
Marina Zarkua	
<i>Plants and Global Warming</i>	
Марина Заркуа	
<i>Растения и глобальное потепление</i>	
26. ვლადიმერ ივანოვი, სერგეი შერნუხა	147
სავაზაფეულო ხორბლის წარმოების ტექნიკური გაუმჯობესება კოლგოვრადში	
Vladimir Ivanov, Sergei Shernucha	
<i>Spring Wheat's Processing Technological Improvement in Volgograd Zavolozhje</i>	
Владимир Иванов, Сергей Чернуха	
<i>Совершенствование технологии возделывания яровой пшеницы в Волгоградском Заволжье</i>	

**პედაგოგიკა და ვეიქოლოგია — PEDAGOGICS AND PSYCHOLOGY —
ПЕДАГОГИКА И ПСИХОЛОГИЯ**

27. კახი კოპალიანი	151
მასწავლის ავტორიტეტის მაფორმირებელი ხოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები	
Kaxi Kopiani	
<i>Social-Psychological Forming Factors of Teachers' Authority</i>	
Кахи Копалиани	
<i>Социально-психологический фактор в формировании авторитета учителей</i>	
28. ცოტნე შამუგია	158
ძებუველების აქტივიზაცია და თვალსაჩინოება ქვეყანათმცოდნების გეცადინებისაზე	
Tsotne Shamugia	
<i>Speech activation and visualizations in the class of country studies</i>	
Цотнэ Шамугия	
<i>Речь активизации и визуализации исследований по страноведению</i>	

29. ვალენტინა მარჯანიშვილი ლეისია უკრაინკა და საქართველო Vallentina Marjanishvili <i>Lesia Ukrainka and Georgia</i> Валентина Марджанишвили <i>Леся Українка и Грузия</i>	164
30. ლეონიდ ჯახაია გამოჩენილი ქართველი ფილოსოფობი და ლიტერატურისტი სერგი დანელია Leonid Djakhaia <i>Prominent Georgian philosopher and literary scholar</i> <i>Professor Sergi Danelia</i> Леонид Джакхая <i>Выдающийся грузинский философ и литературовед</i> <i>профессор Серги Данелия</i>	179
31. ანა ჩიკვანაია ძარღვილის მუზეუმის უმცენების სათავეებთან (1957-1960 წ.) Ana Chikvanaia <i>Origins of Martvili museum</i> Анна Чикваная <i>У истоков создания Мартвильского музея</i>	182

უურნალის ელექტრონული ვერსია:
<http://www.nplg.gov.ge>

E-mail: Tel.: (+ 995 32) 30 25 48; (+ 995 32) 54 14 49
indira@dzagania.com Mob.: (+995 93) 93 20 91
irsociety@rambler.ru

უურნალში გამოქვეყნებულ მასალაზე
პასუხისმგებელია ავტორი.



გამომცემლობა „ენივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge